ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 249/3

თბილისი „27" სექტემბერი 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავტომობილი 2003" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა შეყელაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) რუსთავის დედათა და ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის ამორტიზებული საოფისე ინვენტარის გატანის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ნარჩენებთან და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები – 90500000; დეტალური CPV – 90512000 - ნარჩენების გატანის მომსახურება) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 257,64 (ორასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

2.3 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს/ დაზუსტდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) რუსთავის დედათა და ბავშვთა სახლის ტერიტორიიდან ამ ხელშეკრულების დანართში (დანართი#1) მითითებული ამორტიზებული საოფისე ინვენტარის გატანას მიმწოდებლის სატვირთო ავტომანქანით და დამხმარე პერსონალით და ნაგავსაყრელზე განთავსებას.

3.2 ერთი ერთეული სატვირთო ავტომანქანით (დამხმარე პერსონალთან ერთად) მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 85,88 (ოთხმოცდახუთი ლარის და ოთხმოცდარვა თეთრი) ოდენობით. ამორტიზებული საოფისე ინვენტარის გატანა და ნაგავსაყრელზე განთავსება განხორციელდება ერთი კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2013 წლის 27 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ დღეს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 მიმწოდებელი მომსახურების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა შემსყიდველს წერილობით წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ ის არ ირიცხება დღგ-ს გადამხდელად) დადგენილი წესის მიხედვით, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, მე-3 სართული.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
6.3 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს - მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
6.4 შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.2 უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან იხდის მიმწოდებელი.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება
7.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ

არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2 ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
14.1.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით უფლებამოსილი პირი.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
15.2.1 გაწეული მომსახურები მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
17.2 ხელშეკრულბის ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი"		„მიმწოდებელი"
სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #144 სახელმწიფო ხაზინა კოდი #TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 ს/კ #205169592 მარინა მესხი დირექტორი		შპს „შპს ავტომობილი 2003" ქ. რუსთავი, მე-17 მიკრორაიონი #35 ს/ს „ლიბერთი ბანკი"ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალი კოდი # LBRTGE22 ა/ა № GE66LB0113115404217000 ს/კ № 216398226 გელა შეყელაძე დირექტორი

დანართი #1.

	დასახელება	რაოდ	საინვ. ნომერი
1	ელ .ხორცის მანქანა	1.00	014315
2	ტელევიზორი დაივუ	1.00	014142
3	კომპიუტერი კომპლექტი	1.00	014187
4	ტელევიზორი ზეკო	1.00	014353
5	ვინტილიატორი	1.00	014332
6	მობ ტელეფონი	1.00	014415
7	ტელევიზორის მაგიდა	1.00	014196
8	კედლის საათი	1.00	014430
9	კედლის საათი	1.00	014297
10	კედლის საათი	1.00	014418
11	კომოდი	1.00	013958
12	სკამი რბილი შავი	1.00	014168
13	სკამი რბილი შავი	1.00	014224
14	კედლის საათი	1.00	27
15	კედლის საათი	1.00	28
16	ტუმბო	1.00	190
17	მაგიდა	1.00	005976
18	სკამი მაღალი ზურგით	1.00	005976
19	ერთუჯრიანი მაგიდა	1.00	189
20	ერთუჯრიანი მაგიდა	1.00	187
21	ერთუჯრიანი მაგიდა	1.00	121
22	საცერი	1.00	
23	წყლის ამოსაღები პლასტმასის	1.00	
24	ნაგვის კალათა	8.00	
25	დანების კომპლექტი	1.00	
26	გრაფინი პლასტმასის	10.00	
27	ჭიქა პლასტმასის	26.00	
28	ლეიბი ბამბის	35.00	
29	ბალიში	29.00	
30	საბანი	13.00	

31	პოდნოსი	1.00	
32	საბანი ბამბის	14.00	
33	კომპიუტერი	1.00	014333
34	კომპიუტერი	1.00	014334
35	ვიდეო მოწყობილობა	1.00	014356
36	ფეხსაცმლის შესაკერი მაგიდა უჯრებით	1.00	014278
37	ფეხსაცმლის შესაკერი მაგიდა უჯრებით	1.00	014279
38	წიგნის თარო	3.00	014283
39	ტელეფონი	1.00	014215
40	გარდერობი	1.00	014425
41	წვენსაწური კომბაინი	1.00	014314
42	მუს. ცენტრი	1.00	014337
43	ხის საწოლი	1.00	013955
44	ხის საწოლი	1.00	013956
45	კომპიუტერის სკამი	1.00	014186
46	სკამი რბილი შავი	1.00	014158
47	მაგიდა სამზ.	1.00	014134
48	მაგიდა სამზ.	1.00	014135
49	კომპ. კვების ბლოკი	1.00	014198
50	კომპ. კვების ბლოკი	1.00	014335
51	ხორცის საკეპი მანქანა	1.00	014317
52	კარადა ლურჯი დიდი	1.00	013966

„შემსყიდველი“

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

მარინა მესხი

დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „ავტომობილი 2003“

გელა მეყელაძე

დირექტორი